სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/92.

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ თამაზ სულაბერიძის მოხსენებითი ბარათი ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ[2] ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ[5] ქვეპუნქტისა და ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი თამაზ სულაბერიძის 2020 წლის 2 ივნისის №0301-7/56 წერილის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
		ნანოკომპოზიტების ლაბორატორია	
1	ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	1	- კონკურსანტს უნდა გააჩნდეს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თემატიკის შესაბამისი სპეციალობა და კვალიფიკაცია; - ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 ნაშრომისა (მონოგრაფია ან სტატია სამეცნიერო ჟურნალში, რომელთაგან 3 მაინც – საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემაში (Elsevier, Scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) ან/და საერთაშორისო კონფერენციათა მასალებში.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**